

**„შუებაყცა და ტანჯვაყცა – ორივე ესე საუკუნო არს“
(დაიბეჭდა ოთარ გაბიძაშვილის (დაბადებიდან 80 წ.)
ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში „რელიგია,
ფილოსოფია, თანამედროვეობა“, თბ., 2010. გვ. 113-127)**

სათაურის მიხედვით, მკითხველს არ გაუჭირდებოდა წერილის შინაარსის ამოცნობა, რადგან მასში ქრისტიანული მოძღვრების ესქატოლოგიური ფორმულაა გამოტანილი. იგი, როგორც წმინდა წერილზე დაფუძნებული ქეშმარიტება, უცილობელ აღიარებას მოითხოვს და მოკლედ ასე შეიძლება განიმარტოს: უფალი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის, საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ამქვეყნიური მსოფლიო ისტორია დასრულდება, მაგრამ სახეცვლილი ყოფიერება გაგრძელდება სამუდამოდ; მართალნი შვებას ცათა სასუფეველში ჰპოვებენ, ხოლო ბოროტნი ჯოჯოხეთში ტანჯვას მიეცევიან.

ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ გადმოცემული დებულების მტკიცებას, არამედ მხოლოდ წინამდებარე წერილში განსახილველი საკითხის წინაპირობად ვასახელებთ ამ დოგმატურ კანონს, რომლის მიხედვითაც, გონიერ არსებათა – ადამიანებისა და ანგელოზების – ზემოთ აღნიშნული ორივე მდგომარეობა დაუსრულებელია.

აპოკატასტასისის თეორია

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ წარმოდგენილი სწავლება საღმრთო წერილიდან მომდინარეობს და, ბუნებრივია, ეკლესიაში იგი ქრისტიანობის დასაბამიდანვე იყო მიღებული. პირველი, ვინც წმ. წერილის პირდაპირი, სიტყვასიტყვითი გაგების გზა უარყო და ალეგორიული ეგზეგეზის საფუძველზე *საყოველთაო ცხოვნების* საკუთარი თეორია შექმნა, ალექსანდრიის კატეხიზური სკოლის პედაგოგი კლიმენტი იყო ¹ (გარდ. 215 წ.). კლიმენტის წამოწყებული საქმე კი სრულყო მისმა სახელგანთქმულმა მოწაფემ – ორიგენემ (გარდ. 254 წ.), რომლის სახელთანაც არის საერთოდ დაკავშირებული აპოკატასტასისის თეორიის ჩამოყალიბება.

ამ ბერძნულმა სიტყვამ *apokatastasiŝ*, რომელიც აღდგენას, პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას ნიშნავს, ორიგენისტული სწავლების თანახმად, შეიძინა შინაარსი არა მხოლოდ საყოველთაო აღდგომისა, არამედ საყოველთაო ხსნიცაც, რაც საბოლოოდ ყველა ადამიანისა და ანგელოზის, მათ შორის დაცემული ანგელოზის, ანუ ეშმაკის, განწმენდასა და ცხოვნებას გულისხმობს. ორიგენეს დიდი ავტორიტეტის გამო, მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, რომელნიც ორიგენისტების სახელით არიან ცნობილნი, ხოლო ეკლესიის წმიდა მამათაგან ერთადერთი გრიგოლ ნოსელია (+დაახ. 394 წ.), ვინც ორიგენეს ეს ახალი თეორია სრულიად გაიზიარა.

თანამედროვე საღმრთისმეტყველო მეცნიერებისთვის სადავო აღარ არის, რომ აპოკატასტასისის თეორიას წმ. გრიგოლ ნოსელთან არა შემთხვევითი, არამედ სისტემური სახე აქვს და მის თხზულებებში თანმიმდევრულადაა განვითარებული. მის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომს, რომელშიც ეს თეორია განიხილება, „დიდი კატეხიზმო“ ეწოდება. ყურადღებას სწორედ მასზე შევაჩერებთ.

¹ Несмелов В., *Догматическая система святого Григория Нисского*, (Казан, 1887), СПб., 2000. გვ. 579. *Эсхатологическое учение Церкви (материали богословской конференции)*, М., 2007. გვ. 256: «კლიმენტი აღიარებს ჯოჯოხეთის ტანჯვათა რეალობას, მაგრამ მათ დაუსრულებლობას უარყოფს».

„დიდი კატეხიზმოს“ ქართული რედაქცია

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს* დაუარსებია პერიოდული გამოცემა „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“ (2008 წ.), რომლის პირველი ნომრის პირველივე პუბლიკაცია წმ. გრიგოლ ნოსელის აქამდე გამოუქვეყნებელი „დიდი კატეხიზმოს“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტსა და გამოკვლევას ეთმობა. ტექსტის გამომცემელი და გამოკვლევის ავტორი ახალი უნივერსიტეტის ახალდადგენილი პროფესორი და ხსენებული სერიის მთავარი რედაქტორი თამაზ (ექვთიმე) კოჭლამაზაშვილია. ამ ნაშრომის მიხედვით, თუ რამდენად შეეფერება დიდი ილიას სახელი მისი სახელობის დაწესებულებასა და მის პერიოდულ ორგანოს, მკითხველი თვითონ გაარკვევს, ამიტომ პირდაპირ საკითხთა განხილვაზე გადავიდეთ.

პირველ რიგში მოვიყვანთ ციტატებს გამოკვლევებიდან:

გრიგოლ ნოსელი თხზულებაში (ქვეთ. 8,8; 8,10) «წარწყმედულთა სასუფეველად „აღმონოდებაზე“ (ajakl hsi-) საუბრობს, რაც გულისხმობს საშინელი განკითხვის ჟამს ყველა ცოდვილის განწმენდასა და სასუფეველში შესვლას, ამ ტერმინს მთარგმნელი მხარს უქცევს და მის ნაცვლად „სინანულით მოქცევასა“ და „პირველსავე მადლსა მოსლვას“ წერს... მაშასადამე, ტერმინოლოგიური ცვლილება ხან სტილისტური მოსაზრებით (დედნის შინაარსის მისაწვდომად გადმოცემის მიზნით) ხდება, ხან დოგმატური აკრიბიის მოტივით» (გვ. 34-35);

წმ. გრიგოლს «სულის მკურნალობის ადგილად ესახება მომავალი საშინელი განკითხვის ჟამი... განწმედილი და განკურნებული სული მართალთა საყოფელს – ზეცათა სასუფეველს შეუერთდება. აქ აშკარად ჩანს გავლენა ორიგენე ალექსანდრიელი-სეული მოძღვრებისა სულთა საყოველთაო განწმედისა და ცხოვრების შესახებ. წმ. გრიგოლ ნოსელის დროს საკრებო დონეზე ჯერ კიდევ არ იყო დაგმობილი გამოჩენილი ალექსანდრიელი მოძღვრის აღნიშნული დებულება. ამიტომაც, როგორც **კერძო საღმრთისმეტყველო აზრი²**, იგი თავს იჩენს მწერლის შემოქმედებაში». ქართველ მთარგმნელს «ზემოთ მოყვანილი მონაკვეთი მთლიანად გამოუტოვებია და მის ნაცვლად გვთავაზობს ისეთ მსჯელობას, რომელიც სავსებით შეესაბამება მართლმადიდებელი ეკლესიის **იმდროინდელ²** ოფიციალურ დოქტრინას» (გვ. 59-60);

თხზულების 38,1 ქვეთავში ვკითხულობთ: «ვითარმედ განკითხვაჲ და საშჯელი თუალუხუაჲ ყოფად არს, რაჟამს-იგი საყურსა დაეცეს და ზოგადი იგი აღდგომაჲ ყოვლისა სოფლისაჲ წარმოიჩინოს, რაჟამს-იგი, სიტყუსაებრ უფლისა, გამოვიდოდინ კეთილისა მოქმედნი აღდგომასა ცხირებისასა, ხოლო ბოროტისა მოქმედნი – აღდგომასა საშჯელისასა. და რამეთუ არცა მართალთა შუებასა აქუს აღსასრული და არცა ცოდვილთა ტანჯვასა, – ნუ იყოფინ, – არამედ შუებაჲცა და ტანჯვაჲცა – ორივე ესე საუკუნე არს და დაუსრულებელ, და არა ეგრეთ, ვითარ-იგი მწვალებელნი წარპრევენ და სატანჯველთა აღსასრულსა ზღაპრობენ ბირებითა ეშმაკისაჲთა» (გვ. 153). – გამომცემელი, მიუხედავად გამოკვლევაში ამ ციტატის სპეციალურად განხილვისა, იქვე შეგვახსენებს: «ეს აბზაცი დედანში არაა; ჩამატებულია ქართველი მთარგმნელის მიერ», ფრთხილად იყავითო! «ეს მსჯელობა, როგორც ვთქვით, თხზულების დედანში არ წერია და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან იგი ეწინააღმდეგება ავტორის აზრს, VIII, 6 ქვეთავში გამოთქმულს. ამრიგად, ქართულ თარგმანში გაკეთებული ეს ჩანართი არის არა უბრალო გავრცობა, თხზულების ქვეტექსტით ნაკარნახევი, არამედ, პირიქით, კიდევ ერთხელ გამოთქმული უარყოფა ავტორის მოსაზრებისა – განკითხვის ჟამს ცოდვილთა განწმენდისა და საბოლოო ცხოვნების შესახებ» (გვ. 61); «ღმრთის განკაცების საიდუმლოში ავტორი ჭკრეტს მის საბოლოო მიზანს – კაცთა განთავისუფლებას ბოროტისაგან; და თვით ბოროტების მომპოვნებლის (სატანის) განკურნებას» (გვ. 64);

* შესაძლოა ჩვენ ვცდებოდეთ, რადგან შენობას აწერია: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, და ეს ილია იყოს ვინმე თევზაძე ან კოჭლამაზაშვილი.

² ხაზი ჩვენია – გ. რ.

სხვა მაგალითებზე ანალოგიურ მსჯელობათა შემდეგ თ. კოჭლამაზაშვილი ამგვარ დასკვნამდე მიდის: «არსებითად, „დიდი კატექეტური სიტყვის“ ქართული თარგმანი მისი მკვეთრად გადამუშავებული რედაქციაა. ნაირგვარი ცვლილებანი თხზულების ცალკეულ მონაკვეთებში, და განსაკუთრებით – შინაარსის დიამეტრული შეცვლა დოგმატური აკრიბიის მოტივით, რაც „დიდი კატექეტური სიტყვის“ ქართული თარგმანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს თარგმანი უეჭველად ეფთვიმე მთანმიდელს ეკუთვნის» (გვ. 69). ამ უკანასკნელი მოსაზრების განსამტკიცებლად, გამომცემელი წმ. ექვთიმეს წმ. გიორგი მთანმიდელს უპირისპირებს და თავის გამოკვლევას ასე ამთავრებს: წარმოუდგენელია, რომ გიორგი მთანმიდელს თარგმანში ასეთი ცვლილება შეეტანა, მან ფსევდო-ათანასეს კათოლიკური პნევმატოლოგიური ფორმულაც კი უდრტვინველად გადმოიტანა ქართულ თარგმანში (ამ საკითხზე ცალკე ვიმსჯელებთ), ამიტომ გრიგოლ ნოსელის „დიდი კატეხიზმოს“ მთარგმნელი უთუოდ ექვთიმე მთანმიდელიაო (გვ. 70).

არცოდნაზე გათვლილი ცბიერება

ზემოთ მიმოხილულ საკითხებში გაურკვეველ მკითხველს, თ. კოჭლამაზაშვილის მსჯელობა ლოგიკურად, ხოლო დასკვნები საფუძვლიანად მოეჩვენება. სინამდვილეში, გამოკვლევით დაკმაყოფილებული მკითხველი შედეგად შეიძენს მხოლოდ ზედაპირულ და სქემატურ ცოდნას, რომლის ცრუ ორიენტირები ასე იქნება განსაზღვრული: ეკლესიის წმიდა მამა, გრიგოლ ნოსელი იზიარებდა ორიგენისტულ თეორიას საყოველთაო ცხონების შესახებ; რადგან „საკრებო დონეზე“ ეს თეორია ჯერ კიდევ დაგმობილი არ იყო, მას ამის თაობაზე შეეძლო ჰქონოდა „კერძო საღმრთისმეტყველო აზრი“. მიუხედავად ამისა, წმ. ექვთიმე მთანმიდელმა წმ. გრიგოლის თხზულებაში დოგმატური აზრი შეცვალა, როგორც ეს შეესაბამებოდა „იმდროინდელ“ ოფიციალურ სწავლებას, და ჩაიდინა ისეთი საქციელი, რასაც წმ. გიორგი მთანმიდელი არავითარ შემთხვევაში არ მოიმოქმედებდა. მან ხომ კათოლიკური სარწმუნოებრივი განსაზღვრებაც კი „უდრტვინველად“ თარგმნა და ჭეშმარიტებად აღიარა. ე. ი. მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის განსხვავება არ არის!

ამ არასწორ სწავლებას, მართალია, სარწმუნოებრივი შინაარსი აქვს, მაგრამ კიდევ უფრო დიდ შედეგზეა გათვლილი. მკითხველი რომ უკეთ გაერკვეს სარწმუნოებრივ სწავლებათა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის არსში, მოკლედ შევნიშნავთ, რომ საქართველოს განათლების სისტემა ძირითადად უკვე მოშლილია. ახლა გეგმაზომიერად მიმდინარეობს იმ სულიერი ფესვების ამოძირკვა, რომელიც ჩვენს ტრადიციებსა და ეროვნულ-სარწმუნოებრივ ზნე-ჩვეულებებს ასაზრდოებს. მათგან კი უმთავრესი მართლმადიდებლური მრწამსია, რომელთანაც ბრძოლის ყველაზე მზაკვრული მეთოდი ღმრთისმეტყველებაში ეჭვის, თუნდაც ბუნდოვანების, შეტანაა. ამისთვის, რაც განსაკუთრებით საფრთხილოა, კონფესიურად შენიღბული ადამიანები მუშაობენ. გარეშე ძალებისთვის არც ის არის უცნობი, რომ ინტელიგენციას, მიუხედავად ეკლესიისადმი პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულებისა, მისი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა, თეოლოგიურ საკითხებში ჩაუხედაობის გამო, უჭირს. ჩვენი განსახილველი ნაშრომის ავტორიც გაურკვეველი აღმსარებლობისაა. მართალია, იგი ადრე სასულიერო პირი იყო, მაგრამ კარგა ხანია ეკლესიის მიერ არის განკვეთილი; მართალია, ზოგჯერ თანამშრომლობს ეკლესიის გარკვეულ წრეებთან, მაგრამ იმავდროულად კათოლიკური წიგნების რედაქტირებასაც ახერხებს.³ ახლა კი, როგორც ჩანს, დროებამ ფართო ასპარეზი

³ დიუმულენი პ., იოანეს სახარება, გამოცხადება, ეპისტოლეები (კომენტარი), თბ., 2008. ვარდიე ვ., დოგმატური თეოლოგია, თბ., 2007.

მისცა და ისიც წერს, რასაც გონება და გული კარნახობს. ხოლო თუ რას კარნახობს, სწორედ ახლა გამოვიძიებთ.

1. **კერძო საღმრთისმეტყველო აზრი**, ანუ იგივე თეოლოგუმენი, არის კონკრეტულ საკითხზე რომელიმე ცნობილი ღმრთისმეტყველის მიერ გამოთქმული საკუთარი შეხედულება, რომელიც საყოველთაოდ გაზიარებული არ არის, მაგრამ არსებობის უფლება აქვს, რადგან დოგმატურ სწავლებას არ ეწინააღმდეგება. აპოკატასტასისის თეორიას კი, კონსტანტინეპოლის მეხუთე მსოფლიო კრებაზე (553 წ.) მის დაგმობამდეც, წმიდა მამათაგან, გარდა გრიგოლ ნოსელისა, არავინ იზიარებდა. ცხადია, სწავლება საყოველთაო ხსნის შესახებ არა კერძო საღმრთისმეტყველო აზრი, არამედ ცდომილებაა.

აქვე შევნიშნავთ, რომ გრიგოლ ნოსელის ამ ცდომილების მიუხედავად, გაითვალისწინა რა მისი დიდი დამსახურება დოგმატური სწავლების კარდინალურ საკითხთა ჩამოყალიბებასა და ეკლესიის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში, ეკლესიამ იგი ჯერ კიდევ V მსოფლიო კრებამდე წმინდანად შერაცხა.

2. ამავე რიგის სიყალბეა ექვთიმე მთაწმიდელის (+1038 წ.) გადმოცემული სწავლების „**იმდროინდელ** ოფიციალურ დოქტრინად“ წარმოჩენა. ჩვენ, ამჯერად, არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ მოიკოჭლებს თ. კოჭლამაზაშვილი ღმრთისმეტყველებაში; უბრალოდ ვამხელთ წინადადებაში ტექნიკურად ჩასმული სიტყვის შინაარსს, რადგან სწავლება სასუფეველისა და ჯოჯოხეთის მარადიულად არსებობის შესახებ თუ „იმდროინდელია“, ანუ XI საუკუნისაა, მაშინ გამოდის, რომ ამ საკითხზე ეკლესიას მომდევნო პერიოდში და, მით უმეტეს, XXI ს-ში განსხვავებული აზრი ჩამოუყალიბებია! – მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ გამოცხადების საფუძველზე მიღებული დოგმატური დადგენილებები უცილობელია და ისინი ცვლილებას არ ექვემდებარებიან. ასე რომ, მოუნანიებელმა ცოდვილმა, განსაკუთრებით სარწმუნოების წინააღმდეგ მბრძოლმა, უნდა იცოდეს, რომ უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვედრილი ადამიანის ტანჯვა არ დასრულდება, ისევე როგორც ნეტარებას არ ექნება ბოლო ღმრთის სასუფეველში.

3. რაც შეეხება აპოკატასტასისის ნოსელი ეპისკოპოსის შემოქმედებაში, ეს არის ნამდვილად განსაკუთრებული მოვლენა და, ისტორიული თვალსაზრისით, იგი მარტივად არ გადაწყვეტილა. მართლაც რომ წმინდა ოჯახის შვილის (გრიგოლის ოჯახის წევრთაგან ექვსი წმინდანად არის კანონიზებული), სახელგანთქმული წმ. ბასილი დიდის უმცროსი ძმის, არანაკლებ დიდებული წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის მეგობრის, თვით ფრიად განსწავლულის, ზნეობით აღმატებულისა და საეკლესიო სწავლებათა თავდადებული დამცველის, ნისის ცნობილი ეპისკოპოსის თხზულებებში ორიგენიზმის აღმოჩენა, ბუნებრივია, ადვილად დასაჯერებელი არავისთვის იქნებოდა.

საეკლესიო მწერალთა და მკვლევართა შეხედულებები წმ. გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასისის თაობაზე ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ერთნი მიიჩნევენ, რომ წმ. გრიგოლი ნამდვილად აღიარებდა საყოველთაო აპოკატასტასისს; მეორენი თვლიდნენ, რომ წმ. გრიგოლის ესქატოლოგიური თხზულებები ორიგენისტებმა გარყვნეს; მესამეთა აზრით კი, წმ. მამის ტრაქტატებში მართალი სწავლება დარღვეული არ იყო, მხოლოდ მისი ფილოსოფიური აზრის სიმაღლე მოითხოვდა კომენტირებას.⁴

ყველაზე ადრე წმ. გრიგოლის აპოკატასტასისზე აზრი ღირსი ბარსანოფი დიდმა (+დაახ. 550 წ.) გამოთქვა. ვინაიდან მონაფეებისთვის გაცემული მისი პასუხი არა მარტო წმ. გრიგოლის ნაწერებში ცდომილების არსებობას, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც ხსნის, ციტატას შედარებით სრულად მივიტანთ: «არ იფი-

⁴ Митр. Макарий (Оксиюк), Эсхатология св. Григория Нисского, (Киев, 1914) Москва, 1999. გვ. 560. მამათა შეხედულებანი ამ წყაროდან მოგვაქვს.

ქროთ, რომ ადამიანებს, თუნდაც წმინდანებს, ღმრთის ყველა საიდუმლოს (ГЛУБИНЫ) სრულად მიწვდომა შეუძლიათ... წმინდანები, რომელნიც თავისთავად ან სხვათაგან იძულებით გახდნენ მასწავლებლები, ფრიად აღემატნენ თავიანთ მასწავლებლებს და მაღლიდან მიღებული დამოწმებით ახალი სწავლება გადმოსცეს, მაგრამ მასთან ერთად შეინარჩუნეს ის არასწორი სწავლებაც, რაც ადრინდელი მასწავლებლებისგან მიიღეს. შემდგომ მიაღწიეს რა წარმატებას და თვით გახდნენ სულიერი მასწავლებლები, ისინი აღარ შეევედრნენ ღმერთს, რათა მას პირველ მასწავლებელთა შესახებ გაემჟღავნებინა მათთვის: სულიწმიდის შთაგონებით ჰქონდათ თუ არა მათ (მასწავლებლებს) მიღებული ის სწავლება, რომელიც (მოწაფეებს) გადასცეს; მაგრამ, ვინაიდან ისინი ბრძენებად და გონიერებად მიაჩნდათ, არ გამოიძიეს მათი სიტყვები და, ამგვარად, მათი მასწავლებლების აზრები მათ საკუთარ სწავლებას შეერია. და ეს წმინდანები ზოგჯერ ამბობდნენ იმას, რაც თავიანთი მასწავლებლებისგან მიიღეს, ზოგჯერ კი იმას, რასაც თავიანთი გონებით საღად განსჯიდნენ; შემდგომში კი ერთიცა და მეორეც მათ მიეწერათ».⁵ როგორც ეს შეემთხვა წმ. გრიგოლ ნოსელს ორიგენესთან დამოკიდებულებაში.

წმ. გრიგოლის აპოკატასტასისზე ღირ. ბარსანოფის შეხედულებას იზიარებდა XII ს-ის საეკლესიო მწერალი ნილო თესალონიკელი, მიუხედავად იმისა, რომ მას დავა უხდებოდა ლათინებთან, ანუ კათოლიკებთან, რომელნიც განსაზღვრდნენ შესახებ თავიანთი სწავლების დასასაბუთებლად წმ. გრიგოლის ავტორიტეტს იყენებდნენ. ნილო თესალონიკელის აზრი, წმ. გრიგოლის აპოკატასტასისის შესახებ, ფერარა-ფლორენციის კრებაზე გაიმეორა ღირ. მარკოზ ეფესელმაც (+1457 წ.), რომელიც ასევე ამტკიცებდა ლათინთა სწავლების უსაფუძვლობას განსაზღვრდნენ თაობაზე. კერძოდ, გრიგოლ ნოსელთან დაკავშირებით იგი შენიშნავდა: «იგი ადამიანი იყო, ხოლო ადამიანმა, თუნდაც იგი სინამდის მწვერვალზე ავიდეს, შეუძლებელია არ შესცოდოს, განსაკუთრებით კი ისეთ საგნებზე (მსჯელობისას), რომელნიც მანამდე გამოძიებულნი არ იყვნენ და მათ შესახებ მამებს საერთო კრებაზე გადანყვეტილება არ ჰქონდათ მიღებული».

აზრი იმის თაობაზე, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის ესქატოლოგიური ტრაქტატები ორიგენისტებმა დაამახინჯეს, პირველად წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელმა (+733 წ.) გამოთქვა. პატრიარქი გერმანეს მოსაზრებას ნოსელი ეპისკოპოსის დოგმატურ თხზულებებში ინტერპოლაციის არსებობის შესახებ სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევდა და მთლიანად იზიარებდა წმ. ფოტი კონსტანტინეპოლელიც (+887 წ.). მაგრამ შემდგომმა კვლევებმა ეს აზრი არ დაადასტურეს. ამასთან, არც ერთი ისეთი ხელნაწერი არ იქნა გამოვლენილი, რომელიც ინტერპოლაციისგან თავისუფალი იქნებოდა.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ წმ. ექვთიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობისას, X-XI სს-ის ბიზანტიაში, შესაძლოა, ისეთი ცნობილი პატრიარქების, როგორც წმ. გერმანე და წმ. ფოტი ბრძანდებოდნენ, შეხედულება გაბატონებულიც ყოფილიყო, რაც არც თუ მცირე სტიმული იქნებოდა ქართველი წმიდა მამისათვის, რათა კაბადოკიელი მამის თხზულებები აპოკატასტასისისგან გაეწმინდა. თუმცა ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ «მას მაღლითა სულისა წმიდისაჲთა კელ-ენიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა» (ღირ. ეფრემ მცირე).⁶ რა თქმა უნდა, წმ. ექვთიმე ასე იქცეოდა მკითხველთა სარგებლობისათვის და არა იმიტომ, რომ თარგმნის მისი წესი რაიმე ახირება იყო. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, თუ რამდენად ზუსტად თარგმნიდა იგი ბერძნულ ტექსტს, ისტორიამ გამოა-

⁵ Преподобных отцев Варсануфия Великого и Иоанна руководство к духовной жизни, М., 1998. გვ. 387-388.

⁶ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976. გვ. 67.

ჩინა: წმ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებას (აპოკალიფსს) არც ერთი რედაქტორის, მათ შორის არც მთავარი ავტორიტეტის – წმ. გიორგი მთაწმიდელისა და არც თარგმანის სიზუსტის ზედმინევით მომთხოვნის – ღირ. ეფრემ მცირის, ხელი არ შეხებია.

დავუბრუნდეთ გრიგოლ ნოსელის სწავლებათა ანალიზს და შეხედულებათა მესამე ჯგუფი განვიხილოთ, რომლის მთავარი წარმომადგენელი ღირ. მაქსიმე აღმსარებელი (+662 წ.) იყო. მისი აზრით, წმ. გრიგოლის თხზულებათა ის ადგილები, რომლებშიც საუბარია საყოველთაო აპოკატასტასისზე, სინამდვილეში უეჭველად მართლმადიდებლური ხასიათისაა და ამ შემთხვევაში მხოლოდ წმ. მამის განსაკუთრებით ამაღლებულ ფილოსოფიურ მჭვრეტელობასთან გვაქვს საქმე. ღირ. მაქსიმეს მიხედვით, წმ. გრიგოლი ტერმინს „აპოკატასტასისი“ იყენებს ადამიანის **შემეცნებით ძალთა** იმ მდგომარეობაში დაბრუნების თვალსაზრისით, რომელშიც იგი შემოქმედის ხელიდან გამოსვლის დროს იმყოფებოდა; ხოლო შემეცნებით ძალთა აღდგენა ნიშნავს ჭეშმარიტებისადმი სწორ მიმართებას და თეორიულ აღიარებასა და თაყვანისცემას ღმერთისა ისე, როგორც ეს მისთვის არის შესაფერისი.

მაგრამ ნოსელი ეპისკოპოსის თხზულებების გამოწვლილვით გამოძიებათა შედეგი გვიჩვენებს, რომ მასთან არა მარტო შემეცნებით ძალთა, არამედ მთელი კაცობრიობის «ნეტარი, ღმრთეებრივი და ყოველივე მწუხარებისაგან თავისუფალი მდგომარეობის» აღდგენაზე არის სწავლება გადმოცემული.⁷ ამდენად, მტკიცებას იმისა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელთან სწავლებას ბოროტების აბსოლუტურ გაქრობასა და ქმნილების საყოველთაო ხსნაზე ადგილი არა აქვს, არგუმენტირებული საფუძველი არ გააჩნია.

Filioque და გიორგი მთაწმინდელი

მართლმადიდებელი ეკლესიის აღსარება სარწმუნოებისა, რომელსაც მოკლედ მრწამსს ან სიმბოლოს უწოდებენ, 381 წელს კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრებაზე გაფორმდა. იგი, როგორ უცილობელი და უცვლელი დოგმატური სწავლების შემცველი, შემდგომი კრებების მიერაც არაერთხელ იქნა დადასტურებული. ცნობილი ფაქტია, რომ ამ აღსარებაში შეტანილი ცვლილების, კერძოდ, მერვე მუხლში Filioque-ს (და ძისაგან) ჩამატების გამო, დასავლეთის კათოლიკური ეკლესია ერთ, წმიდა და მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას XI ს-ში საბოლოოდ გამოეყო. ამ ისტორიულ მოვლენას ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, მანამდე კი თ. კოჭლამაზაშვილის დაბეჭდვით გამოთქმულ, მაგრამ მეცნიერული აკრიბიისა და ეტიკის შემლახველ მოსაზრებებს დაწვრილებით გავეცნოთ: ფსევდო-ათანასეს სიმბოლო, რომელშიც შედის დასავლური ჩანართი: სულიწმიდა გამოდის მამისა და ძისაგან, გიორგი მთაწმინდელს «უდრტვიწველად გადმოაქვს ქართულ თარგმანში. ეს ფაქტი გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი პრინციპების დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგანაც მას მოღვაწეობა მოუხდა ამ ფორმულის ირგვლივ გამართული მწვავე დოგმატური კამათების ეპიცენტრში, რაც მის ბიოგრაფიაში დაწვრილებითაა მოთხრობილი... მასადაამე, წარმოუდგენელია, რომ გიორგი მთაწმინდელს სათარგმნელ თხზულებაში ისეთი მასშტაბის ცვლილებები შეეტანოს, როგორც „დიდი კატექეტური სიტყვის“ ქართულ თარგმანში გვაქვს. ამ ძეგლის მთარგმნელი უთუოდ ეფთვიმე მთაწმინდელია» (გვ. 70).

„დიდი კატეხიზმოს“ გამომცემელს არც ადრე ასვენებდა კათოლიციზმთან გიორგი მთაწმინდელის დამოკიდებულების დადგენა, რომელსაც მისი შეხედულებით «ზოგიერთი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწისგან განსხვავებით, რომის ეკლესიის აღმსარებლობის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასოდეს შეუტანია; პირიქით,

⁷ დასხ. Митрополит Макарий, გვ. 578.

ისტორიულად წმინდა და მწვალებლობისაგან დაცულ სულიერ ოაზისად წარმოედგინა იგი».⁸ აქ ავტორის ორი ტენდენცია იკვეთება: I. ექვთიმე და გიორგი მთანმიდელის დაპირისპირების მცდელობა; II. კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების დოგმატურ სწავლებათა შორის პრინციპული განუსხვავებლობის მტკიცება. – სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა.

I. უკეთუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ «გიორგი მთანმიდელის თარგმანი შესრულებულია ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ისეთი ბერძნული რედაქციიდან, რომელიც დღეისთვის ცნობილ არც ერთ რედაქციას არ ემთხვევა»,⁹ მაშინ გრიგოლ ნოსელის „დიდი კატეხიზმოს“ დღეისთვის უცნობი ბერძნული რედაქციაც შეიძლება არსებულებოდა და მის მთარგმნელად როგორც ექვთიმე, ისე გიორგი მიგვეჩნია. ხოლო თუ ასეთი პარალელი დასაშვებია არ არის, მაშინ ფსევდო-ათანასეს „სიმბოლოსთან“ დაკავშირებული ვარაუდიც მიუღებელია და, რადგან „სიმბოლოს“ არც გიორგი მთანმიდელის თარგმანის ზუსტი დედანი არ არსებობს, მაშინ გამოდის, რომ მასაც ხელენიფებოდა „შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“ და, ბუნებრივია, „დიდი კატეხიზმოს“ მთარგმნელ-რედაქტორი ისიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ გიორგი მთანმიდელის თარგმნილ ტექსტში მეტ-ნაკლები ცვლილება ადრეც არის გამოვლენილი. მაგალითად, წმ. ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ გიორგისეულ თარგმანში კრიტიკული ტექსტის გამომცემელმა შემატების – 148, დაკლების – 27, ცვლილების – 113, და თავისუფალი თარგმანის – 16 შემთხვევა გამოავლინა.¹⁰

ეს მაგალითი იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ დიდი წინაპრის ღვანლისათვის რაიმე ჩრდილი მიგვეყენებინა, არამედ იმის დასაანახებლად, რომ ათი საუკუნის წინანდელ საქმეთა გამოძიებისას **კატეგორიული დასკვნების** გამოტანა გაუმართლებელია და, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ხშირად თვით მკვლევარის მიერ ჩატარებული კვლევის ზერელობაზე მეტყველებს. ხოლო ხელოვნურად დაპირისპირება, ერის წინაშე ვალმოხდილი და ამ ერის მიერვე განდიდებული ჩვენი დიდი მამების, წმიდა ექვთიმე და წმიდა გიორგი ათონელებისა, გაახარებს ვინმეს განა?! ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რაც ექვთიმეზე თვით გიორგიმ ბრძანა: **გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ.**

II. წმ. გიორგი მთანმიდელის „ცხოვრებაში“ აღწერილ სარწმუნოებრივ საკითხებს, რომელნიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში ევქარისტიული პურისა და ღვინის გამოყენების წესებს უკავშირდებიან, აქ არ შევეხებით, მაგრამ ფილიოქვესთან დაკავშირებით ადრე ნათქვამი უნდა გავიმეოროთ.¹¹ თ. კოჭლამაზაშვილის საწინააღმდეგოდ წინასწარვე აუცილებელია აღნიშვნა იმისა, რომ სულიწმინდის გამომავლობაზე წმ. გიორგი მთანმიდელის „ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი. ასევე მტკნარი სიცრუეა ის, რომ თითქოს გიორგის „მოღვაწეობა მოუხდა და ამ ფორმულის ირგვლივ გამართული მწვავე დოგმატური კამათების ეპიცენტრში“. ჩვენ, უბრალოდ, განვაზოგადებთ გიორგი მთანმიდელის „ცხოვრებაში“ გამოხატულ პოზიტიურ დამოკიდებულებას ჰრომთა მაშინდელი ეკლესიისა და

⁸ კოჭლამაზაშვილი ე., ღამბაშიძე ა., ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი / მრავალთავი XVIII, ლიტ.-ისტ. ძიებანი, თბ., 1999. გვ. 161.

⁹ დასხ. მრავალთავი XVIII, გვ. 160.

¹⁰ ბასილი დიდი, ექვსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კანაძემ, თბ., 1947. გვ. 019-041.

¹¹ ვრცლად, იხ.: გვ. კობლატაძე, გრ. რუხაძე, ლათინთა საკითხი გიორგი მთანმიდელის „ცხოვრებაში“ / გაზ. „მადლი“, 6-7, 1997. აქვეა განხილული ევქარისტიული საკითხებიც.

იერარქების მიმართ, გავითვალისწინებთ თუნდაც ფსევდო-ათანასეს სიმბოლოს გიორგის მიერ თარგმნის შესაძლებლობას, და გავცემთ პასუხს კითხვაზე: შეიძლება თუ არა წმ. გიორგი მთანმიდელს (+1065 წ.) რაიმე სცოდნოდა იმ განხეთქილების შესახებ, რომელიც ისტორიოგრაფიაში ჩვეულებრივ 1054 წლით თარიღდება? ამის გასარკვევად კი საჭიროა ყურადღებით გავაანალიზოთ ის ისტორიული ფაქტები, რომელიც გათიშვას უძღოდა წინ.

სამხრეთ იტალია (კალაბრია, ანულია, სიცილია და ახლო-მახლო კუნძულები), ბერძნული კოლონიებისა და ბერძნული მოსახლეობის მრავალრიცხოვნების გამო, ძველთაგანვე დიდ საბერძნეთად იწოდებოდა. ამ მხარის ეპარქიები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს განმგებლობაში შედიოდნენ და ღმრთისმსახურებაში აღმოსავლეთის ეკლესიის ტრადიციებს იცავდნენ. XI ს-ის შუა ხანებში ანულიას ბერძენთა იმპერატორის სახელით ნახევრად ბერძენი და ნახევრად იტალიელი არგიროსი მართავდა, კაცი ფრიად ორპირი და ბერძენთა მოძულე. იგი ამ მხარეში ხელს უწყობდა ღმრთისმსახურებაში ლათინური ენისა და ტრადიციების გავრცელება-დამკვიდრებას, როგორცაა, მაგ., შაბათის მარხვა, უფუარი პური თიარება, სასულიერო პირთა უქორწინებლობა. ამასთან დაკავშირებით, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიქელ კერულიაროსმა, ოხრიდის ეპისკოპოს ლეონთან ერთად, 1053 წელს ეპისკოპოს იოვანე ტრანიელს მისწერა წერილი, რომელშიც მეგობრული ტონით, როგორც ეს ქრისტიან მწყემსმთავარს შეეფერება, იქაურ სასულიერო პირებს სთხოვდა, წინ აღდგომოდნენ ღმრთისმსახურებაში ახალი წესების შემოღებას. იოანეს პასუხის ნაცვლად პატრიარქმა პაპის მიერ 41 თავისაგან შედგენილი ფრიად უცნაური წერილი მიიღო, რომელიც კონსტანტინეპოლელი მღვდელმთავრის წერილში დასმულ საკითხებს საერთოდ არ ეხებოდა. პაპი თვლიდა, რომ ბერძნები ყოველთვის ერეტიკოსები იყვნენ. აქვე მოყვანილი იყო მანამდე გაუგონარი ფაქტი იმის თაობაზე, რომ თითქოს კონსტანტინე დიდმა, მონათვლიდან მეოთხე დღეს, რომის პაპს სიგელი უბოძა, რომლითაც იმპერატორის ხელისუფლებაზე აღმატებული ხელისუფლება მიანიჭა და მთელი დასავლეთი დაუთმო და რომ ეს სიგელი შემდეგ ნიკეის მსოფლიო კრებაამაც დაამტკიცა.

ამ უცნაურ წერილს მიქელ კერულიაროსმა ისევ თავაზიანი და ძმური სიყვარულით აღსავსე წერილით უპასუხა და პაპს იმპერატორის წერილთან ერთად გაუგზავნა, რომელშიც კონსტანტინე მონომახოსი საკამათო საკითხების გასარკვევად კონსტანტინეპოლში ელჩების გამოგზავნას ითხოვდა. ამ წერილების გადაცემა პაპისათვის, რომელიც ამ დროს ნორმანების ტყვეობაში იმყოფებოდა, ანულიის ზემოხსენებულმა მმართველმა არგიროსმა ითავა.

მიიღო თუ არა ეს წერილები ლეონ IX-მ და თვითონ გასცა თუ არა მათ პასუხი, ეს საკითხი ეკლესიის ისტორიაში გაურკვეველია, თუმცა ობიექტური მკვლევარნი ფიქრობენ, რომ – არა, რადგან ტყვეობაში დასწეულებული პაპი დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1054 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა, ხოლო ლეგატები მისი სახელით კონსტანტინეპოლში ორი თვის შემდეგ მივიდნენ. ელჩებმა – კარდინალმა ჰუმბერტმა, ამაღლის ეპისკოპოსმა პეტრემ და რომის ეკლესიის კანცლერმა არქიდიაკონმა ფრიდრიხმა დედაქალაქში მოიტანეს პაპის წერილები – მიმართული იმპერატორისადმი, სავსე მისი დაუმსახურებელი ქება-დიდებათ და პატრიარქისადმი – ასევე დაუმსახურებელი ლანძღვითა და ცილისწამებით. შინაარსმა და ყალბმა ბეჭედმა მიქელ კერულიაროსს ეჭვი აღუძრა, რომ წერილი პაპს ეკუთვნოდა, რაც შემდეგ იოვანე ტრანიელის მოწოდებულმა ცნობამაც დაუდასტურა იმის თაობაზე, რომ მისი წერილი პაპს სულაც არ მიუღია, რადგან იგი არგიროსმა გააჩერა. ამიტომ მან კარდინალი ჰუმბერტისა და მისი თანმხლები პირებისაგან ელჩობისა და წერილების ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა მოითხოვა და ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები სადაო საკითხების გარკვევაში თანამშრომლობისათვის მიიწვია. ელჩებმა პატრიარქის

მიღებულ ზომებს იმით უპასუხეს, რომ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტეს და 16 ივლისს, ღმრთისმსახურების დროს, აია სოფიის ტაძარში სიგელი დატოვეს, რომელშიც პაპის, რომის სამოციქულო ტახტის, შვიდი კრებისა და საერთოდ მთელი ეკლესიის სახელით რწმენის სიმბოლოდან იმ ადგილის ამოღების გამო, რომელშიც ნათქვამია, რომ სულიწმიდა ძისაგანაც გამოდის, მიქელ კერულიაროსი და ყველა მისი მომხრე ანათემაზე იყო გადაცემული. ტაძრიდან გამოსულებმა კონსტანტინე-პოლი დატოვეს.

თავდაპირველად პატრიარქმა იმ იმედით, რომ ელჩებს დააბრუნებდა და საქმეს გაარკვევდა, ბრძანა, არ გაეხმაურებინათ მომხდარი ფაქტი, მაგრამ როცა ეს იმედი ამოო გამოდგა (ელჩებს საქმის გარკვევა კი არა, განხეთქილება აინტერესებდათ), ოთხი დღის შემდეგ მოიწვია კრება, რომელმაც ამ ამბებთან დაკავშირებით დეკრეტი მიიღო. დეკრეტში ხაზგასმული იყო, რომ **კარდინალი ჰუმბერტი და მისი თანმხლები პირები თვითმარქვია ელჩები იყვნენ და პაპის სახელით მოტანილი წერილებიც მათ მიერვე იყო შეთხზული.**

აქედან გამომდინარე, მათი საქციელი კერძო პირების საქციელად დარჩა და მომხდარი ფაქტი ეკლესიის განხეთქილებად არავის, თვით დასავლეთსაც კი, არ აღუქვამს, რადგან ლეონ IX-ის მემკვიდრემ, ვიქტორ II-მ ეს საქმე საერთოდ უყურადღებოდ დატოვა.

XI ს-ის ბოლოს პაპმა ურბანმა ბარში მოიწვია კრება, რომელზეც უმთავრესად სულიწმიდის გამომავლობის საკითხი განიხილებოდა და რომელშიც იტალიის მართლმადიდებელი მღვდელმთავრებიც მონაწილეობდნენ. თვითონ ლათინი ავტორების გადმოცემით, ბერძნებმა ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს პაპს, რომ აიძულეს გაჩერებულიყო, მაგრამ კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა ანსელმმა „იმარჯვა“ და ისინი „შერცხვენილნი“ გააჩუმა. მაშინ წარმოითქვა ანათემა ყველას მიმართ, ვინც კი ამ დოგმატს რომის აღმსარებლობის შესაბამისად არ წარმოთქვამდა.

საინტერესოა, რომ ლეგატებისა და პატრიარქი მიქელ კერულიაროსის საქმე კონსტანტინეპოლის გარეთ შეუმჩნეველი დარჩა. იგი მხოლოდ XVI ს-ში გახმაურდა, როცა ვატიკანის ბიბლიოთეკარმა ბარონიუსმა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტრანიის ეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილი და კარდინალი ჰუმბერტის მიერ აღწერილი ისტორია იპოვა. აქედან დაიწყო მიჩნევა იმისა, რომ განხეთქილება ეკლესიაში 1054 წელს მოხდა. ფაქტების მიხედვით კი უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ განხეთქილების დამკანონებელი არა თვითმარქვია ელჩების საქციელი, რომელიც, როგორც ვნახეთ, კარგა ხნის მანძილზე არც კი გახმაურებულა, არამედ ბარის კრება იყო და, შესაბამისად, განხეთქილების თარიღად XI საუკუნის დასასრული უნდა მივიჩნიოთ. ასევე შედარებით ახალი გამოკვლევებით ცნობილი გახდა, რომ რომის ეკლესიამ მრწამსში filioque პაპი ბენედიქტე VIII-ს (1012-1024) დროს კი შეიტანა, მაგრამ დოგმატის ხარისხში მხოლოდ ლიონის 1274 წლის კრებაზე აიყვანა და ანათემა გამოაცხადა მათთვის, ვინც მას არ მიიღებდა.¹²

თუ ზემოთ მონათხრობ ფაქტებს გავითვალისწინებთ, 1065 წელს გიორგი მთაწმიდელს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატა რომის ოფიციალური ეკლესიისა და მისი მეთაურების მიმართ, რომელთაც მანამდე ერესების წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის ყოველთვის მტკიცე პოზიცია ეკავათ, ხოლო ხშირად განსაკუთრებული დამსახურებაც კი მიუძღვოდათ.

¹² Бобринский Борис, протопр., Тайна Пресвятой Троицы, ПСТГУ, М., 2005. გვ. 303.